საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

11/07/2025

MES 0 25 0000856919

გადაწყვეტილება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის **„შედარებითი კომერციული სამართლის**" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს N670727 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.
2.2 ცენტრში 2024 წლის 15 მაისს შემოვიდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის №197-01 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის - №530882), საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რომლის მიხედვით, "შედარებითი და კომერციული სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირდა, შეეცვალა სახელმწოდება და ეწოდა - "სამართალი". პროგრამაში ასევე განხორციელდა შინაარსობრივი ცვლილებები.
2.2. "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგგემური მონიტორინგის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 27 სექტემბრის №1225021 ბრძანების შესაბამისად, აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფმა შეაფასა "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 27 ივნისს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული მოსაზრებები.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
3. 2029 წლის 6 აგვისტოს №670727 გადაწყვეტილებით აკრედიტებული" შედარებითი და კომერციული სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:- "სამართალი".
4. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

5. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 ივნისის №856841 სხდომის ოქმის №06 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
6. დაწესებულებას განესაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები შესასრულებლად:

1) საგნის „ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკა“ სილაბუსი საჭიროებს ძირეულ გადამუშავებას თემატიკის ნაწილში.
2) სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია საგანი „მედია სამართალი“ და „განათლების სამართალი“, რომლებიც მოცემულია დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულ საბაკალავრო პროგრამაშიც. დაწესებულების განმარტებით ზემოაღნიშნული კურსები აღარ არის საბაკალვრო პროგრამის ნაწილი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ დუბლირებების აღმოსაფხვრელად ყველა აუცილებელი ღონისძიების განხორციელება, მათ შორის, დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული საბაკალავო პროგრამიდან სასწავლო კურსების „მედია სამართალი“ და „განათლების სამართალი“ ამოღება.

6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 27 ივნისს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი